ოქმი:**ო37. 3723125001**

თარიღი:**05/05/2023**

ოქმი N 6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2023 წელი, 3 მაისი

ქ. ოზურგეთი

11.00 -13 .30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, პ. კიღურაძე, ბ. თოიძე; ფრაქციის თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი, დ. მჟავანაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ქ. ვასაძე, მ. ვაშალომიძე, ნ. ქარჩავა, გ. კილაძე, ლ. კილაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, ბ. მელუა, თ. ნიკოლაშვილი, გ. შილაკაძე, ხ. თავდიშვილი, ბ. კილაძე, გ. შარაშენიძე, გ. სირაძე, ნ. ნადირაშვილი, ბ. ქათამაძე, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე, თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე, ტ. მგელაძე.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე-გ. ღურჯუმელიძე

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, 45 საკრებულოს წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 31-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შედეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომლის დამტკიცებამდე საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ ითხოვა სრულყოფის მიზნით დღის წესრიგიდან ამოეღოთ მე-4 საკითხი, ამ ცვლილებით, 31 -ხმით დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

33.1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა -ხმით

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ბ. ქათამაძემ დასვა შეკითხვა-რა იგულისხმება მანქანების ჯარიმებში? -განუმარტეს, რომ 2019 წლებში სამსახურეობრივ ავტომობილებზე დარიცხულია ჯარიმები, მერიამ განახორციელა სამართლებრივი ღონისძიებები მათი დაფარვისთვის. პრივატიზების გეგმაში სათანადო პირობა განსაზღვრულია.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“თავმჯდომარემ დ. მჟავანაძემ განაცხადა, რომ მაშინ, როცა მუნიციპალური ტრანსპორტი, რომელიც მოსახლეობას ემსახურება და სავალალო მდგომარეობაშია, ადგილობრივი ხელისუფლება ჩინოვნიკების კომფორტისთვის ყიდულობს მსუბუქ ავტომობილებს. განაცხადა გამსახურდიას მოედანზე არსებულ საყვავილეებში მარიხუანას გაშენების ფაქტის შესახებ, რომელსაც ხელისუფლება ყურადღებას არ აქცევს. ხოლო ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა თ. ნიკოლაშვილმა განაცხადა მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში არსებულ მძიმე მდგომარეობაზე. ამ განცხადებებს მოჰყვა ხმაური და ურთიერთ დაპირისპირება საკრებულოს წევრებს შორის, დაძაბული სიტუაციის განმუხტვის მიზნით გამოიძახეს დაცვა, რის შემდეგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების ნაწილმა დატოვა სხდომა. თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ რადიკალურმა ოპოზიცია ისევ დესტრუქციული ქმედებებით ცდილობს საკრებულოს სხდომის ჩაშლას, რაც შეეხება მუნიციპალურ ტრანსპორტს, მისი პარკის გაუმჯობესებაზე ზრუნავს მერია მთავრობასთან ერთად. უახლოეს პერიოდში სიახლეების შესახებ ეცნობება საზოგადოებას.

სხდომის თავმჯდომარემ 11.50-საათზე გამოაცხადა 30-წუთიანი შესვენება.

სხდომა განახლდა 12.25-საათზე, ხელახალი რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24- წევრმა.

განკარგულება დამტკიცდა 24-ხმით.

34.2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 24 -ხმით

12.3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მაიზერ ცელაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 24 -ხმით

საკითხის გაცნობამდე თანამომხსენებელმა მ. ცელაძემ მოუწოდა საკრებულოს წევრებს პატივი ეცათ ერთმანეთისა და საკრებულოსათვის. დაუჯერებლად მიიჩნია ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მარიხუანას აღმოჩენის ფაქტი. შემდეგ გააცნო დადგენილების პროექტი.

4. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

გელა ჩავლეშვილი

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ დასვა შეკითხვა-რამ განაპირობა შესრულების მაღალი მაჩვენებლები, წინა წელში ამოუღებლობამ თუ ადმინისტრირების გაუმჯობესებამ?; ასევე, მშენებლობის ნებართვის შემოსავლების ასეთი მაღალი დონე ხომ არ იძლევა ბიუჯეტის შემოსავლების გეგმაში მისი კორექტირების საფუძველს? -უპასუხეს, რომ ძირითადად ადმინისტრირების გაუმჯობესებამ, რაც შეეხება მშენებლობის შემოსავლების გეგმას -დიდი ალბათობით დაკორექტირდება.

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს ანგარიშს.

ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

35.5. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 24-ხმით

6. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

საკითხების განხილვის შემდეგ განცხადებები გააკეთეს: საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალის“ წარმომადგენელმა გ. ჩავლეშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ პირველი შემთხვევაა როცა რადიკალური ოპოზიციის წრმომადგენელი ბოლომდე დაესწრო სხდომას, ყველა სხდომაზე აწყობენ დებოშს

სხდომის ჩაშლის მიზნით, საუბრობენ მარიხუანას გაშენებაზე, მაშინ როდესაც ებრძვიან პატრიარქს, იყო პრეტენზია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაკეთებული არა ერთმნიშვნელოვან საქმეზე. დასახელებაზე, შესაძლებელია მასშტაბური სამუშაოების დასახელება, განაცხადეს საბავშვო ბაღებში არსებულ ცუდ მდგომარეობაზე, რამდენიმე სოფელში აგებულია ევროპული სტანდარტის საბავშვო ბაღები და სკოლები, რეაბილიტირებულია გზები, ქუჩები, წყალსადენები და ა.შ. ოპოზიციას არ სურს რეალობის დანახვა. მხოლოდ ინფრასტრუქტურის პროექტებს ხმარდება ორჯერ მეტი თანხა, ვიდრე წინა ხელისუფლების დროს ყველა პრიორიტეტებს ერთად აღებულს. შემდეგ ისაუბრა ქვეყნის საერთო მიღწევებზე.

საკრებულოს წევრმა ბ. მელუამ განაცხადა, რომ ცუდია როცა ოპოზიციონერი კოლეგები მონაწილეობას არ იღებენ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვაში, როგორიც იყო დღევანდელი სხდომის დღის წესრიგის მე-3 საკითხი. მიმართა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრს ბ. ქათამაძეს ურჩიოს თავის კოლეგებს დესტრუქციის მაგივრად უმჯობესია იფიქრონ საკრებულოში პრობლემატურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობაზე. მასმედიასთან განცხადებები კი დარბაზის გარეთ აკეთონ.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ბ. ქათამაძემ განაცხადა, რომ ხალხის, გადამხდელების ფული მათ პრობლემების გადაწყვეტაზე უნდა იხარჯებოდეს და არა ჩინოვნიკების კომფორტის შესაქმნელად. ქალაქის ცენტრში მარიხუანას გაშენება არაა მოსაწონი, ქალაქის გზები და ქუჩები ორმოებითაა სავსე და მოსახლეობა უკმაყოფილოა და სხვა.

სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ განაცხადა, რომ საკრებულოში კოლეგიალურად მუშაობა და პრობლემების განხილვა გაცილებით სჯობია ურთიერთ დაპირისპირებას და ლანძღვას, ყველასათვის ცხადია, მოუწოდა ბ.ქათამაძეს ურჩიოს თავის კოლეგებს სხდომებზე დებოშის ატეხვას და სხდომის დატოვებას არჩიონ საკრებულოს მუშაობაში მონაწილეობის მიღება.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი